

დამტკიცებულია: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს 2018 წლის 16 აპრილის დადგენილებით



**შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ეს წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

**მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები**

1. საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმებია:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საკონტაქტო /სააუდიტორიო საათების რაოდენობა.
- ბ) სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო კვირების რაოდენობა.
- გ) საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადი და არჩევითი კურსების რაოდენობა
- დ) საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების/მოდულების არჩევანის მრავალფეროვნება.
- ე) სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა.
- ვ) დარგის სპეციფიკა
- ზ) ერთი პერსონალის მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა
- თ) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჯგუფების რაოდენობა
- ი) საგანმანათლებლო პროგრამის სხვა სპეციფიკის გათვალისწინებით
- კ) სასწავლო უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტი.

- 2. პირველი პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმები სარეკომენდაციო ხასიათისაა.
- 3. საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის და შეიძლება გამოყენებულ იქნეს რამდენიმე კრიტერიუმში.
- 4. საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა განისაზღვრება პირველი პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით

### **მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაანგარიშება**

1. პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის საშუალო სააუდიტორიო დატვირთვა შეადგენს კვირაში 9 სთ.
2. პროგრამის კრედიტების რაოდენობა ბაკალავრიატზე არის - 240 კრედიტი, მაგისტრატურაზე -120 კრედიტი.
3. ერთნაირი რაოდენობის კრედიტების ჯამის გაყოფით საგნების კრედიტების რაოდენობაზე ვიღებთ საგნების რაოდენობას.
4. ვაჯამებთ მე-3 პუნქტის მიხედვით მიღებული საგნების რაოდენობას.
5. პროგრამის მთლიანი სააუდიტორიო საათები შეადგენს საგნების რაოდენობის ნამრავლს სასწავლო კურსების საშუალო სააუდიტორიო დატვირთვაზე (პროგრამის მთლიანი სასწავლო კურსების სააუდიტორიო დატვირთვის ჯამი) .
6. პროგრამის მთლიანი სააუდიტორიო საათების რაოდენობის, სასწავლო კვირების რაოდენობასა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის საშუალო დატვირთვაზე გაყოფით ვიღებთ პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობას ( მე-5 პუნქტის მიხედვით მიღებული შედეგი გაყოფილი სასწავლო კვირების რაოდენობაზე (15 კვირა) და მიღებული შედეგი გაყოფილი პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, პროგრამაში ჩართულ აკადემიური/მოწვეული პერსონალის საშუალო კვირეულ დატვირთვაზე (9 სთ), ვიღებთ პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის მინიმალურ რაოდენობას).
7. მე-6 პუნქტით მიღებული შედეგი არის პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის მინიმალური რაოდენობა, რომელიც ექვემდებარება კორექტირებას ჯგუფის რაოდენობის გათვალისწინებისა და არჩევითი საგნების მრავალფეროვანი არჩევანის შეთავაზების შემთხვევაში.

### **მუხლი 4. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.